# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 208

„23" ივლისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ:54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ: 54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 ივლისის №19.741.956 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ: 54001006993) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე